შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 45575

04/11/2014

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური საშუალების ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე დროებით სარგებლობაში თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას დროებით სარგებლობაში თხოვების ფორმით 2015 წლის 30 აპრილამდე, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივი - ავტომანქანაზე მისაბმელი მოძრავი სახლი საბალანსო ღირებულიბით 46610 (ორმოცდაექვსი ათას ექვსასათი) ლარი და 17 თეთრი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 28432 (ოცდარვა ათას ოთხასოცდათორმეტი) ლარი და 21 თეთრი.
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების გადაცემა, შესაბამისი ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. მიღება-ჩაბარების აქტის ხელის მოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსი თორნიკე ხელთუფლიშვილი.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური